ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5

აბაშა, 2022 წლის 7 ოქტომბერი

„აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/06/2017 სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.110.016276) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საბჭოს თავმჯდომარეობს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გელა ხოშტარია